ტბა

დონე: A დაწყებითი

დავალებები

1 დააკვირდი სურათს და წაიკითხე სიტყვები.

1. კორპუსი. 2. ხე. 3. ტბა. 4. ეტლი. 5. მთა. 6. ნაყინის გამყიდელი ქალი. 7. ძაღლი. 8. ბიჭი. 9. ველოსიპედი. 10. იხვი. 11. მანქანა. 12. კაცი. 13. ატობუსი. 14. სკამი. 15. სალარო. 16. გედი.

2 შემოხაზე სწორი პასუხები.

1. ვინ ყიდის ნაყინს?
   ა) კაცი. ბ) ბავშვი. გ) ქალი.

2. რას აკეთებს იხვი ტბაში?
   ა) დადის. ბ) დგას. გ) ცურავს.

3. ქუჩაში არის:
   ა) მანქანა და ავტობუსი. ბ) ორი ავტობუსი. გ) ორი მანქანა.

4. რას აკეთებს კაცი?
   ა) დგას და ლამაზ ტბას უყურებს.
   ბ) სკამზე ზის და გაზეთს კითხულობს.
   გ) სკამზე ზის და ნაყინს ჭამს.

3 ნახატის მიხედვით დაწერე ნომრები.

ნიმუში: ძაღლი ყეფს. (7)

1. ბიჭი გედებს უყურებს. ( )
2. ეტლში ზის ორი ბავშვი. ( )
3. ბიჭი ზის ველოსიპედზე. ( )
4. კაცი დგას სალაროსთან. ( )

4 აღნიშნე √-ით სწორი პასუხები.

	კი	არა
1. კორპუსის უკან ჩანს მთა.	√	
2. ქალი სკამზე ზის და კითხულობს.		
3. წყალში ორი თეთრი გედია.		
4. ბიჭი ადის კიბეზე.		
5. ხეზე არის ვაშლები.		
6. ქუჩაში არის ავტობუსი და მანქანა.		
7. ოთხი კაცი ზის და თამაშობს.		

5 წინადადებებში ჩაწერე გამოტოვებული სიტყვები: ***ყიდის, ცურავს, დგას, ზის.***

1. გედი ---------- წყალში.
2. კაცი ---------- სალაროსთან.
3. ქალი ---------- ნაყინს.
4. ბიჭი ---------- ველოსიპედზე.

6 დახატე ადგილი, რომელიც შენ მოგწონს. მიაწერე სიტყვები.